უფასო

ბეგი გაზეთი

29 დეკემბერი
2017 წელი

№10 (28)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. საინფორმაციო, ინოვაციური ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების განვითარების ფონდი

კარს მოგვდგომია ახალი, 2018 წელი და, უპირველესად, გილოცავთ ძვირფასო ბაღდათელებო. გისურვებთ დამდეგი წარმავალზე უკეთესი ყოფილიყოს და ამ იმედითა და განწყობით შეგვედგას ფეხი ახალწლეულში.

2017-ში ბევრი საინტერესო ამბისა თუ მოვლენის მომსწრე-მხილველნი ვიყავით ბაღდათის მუნიციპალიტეტში, თუმცა მათგან რამდენიმეს გამორჩევა, ვფიქრობთ, უპრიანია.

ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი მოვლენა, დამეთანხმებით, ოქტომბერში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები იყო. ამომრჩევლის უდიდესი უმრავლესობა კვლავ მმართველი პარტიის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – გუნდს ენდო. „ოცნების“ მერობის კანდიდატმა არჩილ გოგსაძემ ხმების 63,08 % მოაგროვა, ხოლო 29-წევრიან საკრებულოში პარტია 23 დეპუტატითაა წარმოდგენილი, საკრებულოს 20 ნოემბრის პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ შალვა მშვილდაძე იქნა არჩეული.

ახალ 2018 წელს ახალი გუნდი (ფაქტობრივად დასრულდა მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია) ძველი პრობლემებითა და ახალი გამოწვევებით ხვდება – ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, განათლება – აი, ის მიმართულებები, რომელთა სწორად დაგეგმვასა და განხორციელებას შეეცდება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მერია-საკრებულოს ახალი მმართველი გუნდი, ხოლო რა კეთდებოდა ზემოთნახსენები მიმართულებებით 2017 წელს, მოკლედ შემდეგ გვერდებზე შეგიძლიათ იხილოთ.

2018

ძვირფასო ბაღდათელებო!
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო
გილოცავთ დამდეგ ფოხა-ასალ წელს!

2017 ინფრასტრუქტურული პროექტები 2018

2017 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, მათგან რამდენიმე გარდამავალია და დასრულება 2018 წელს იგეგმება. მომავალ წელს მუნიციპალიტეტის მერია კიდევ 7 დიდი პროექტის განხორციელებას გეგმავს, შესაბამისი საპროექტო წინადადება გაგ ზავნილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

გარდამავალი პროექტები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა – პროექტი გარდამავალია, გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 17 აგვისტოს № 132 (ორ წლიანი) ხელშეკრულება ღირებულებით 1354620 ლარი.

***

სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე არის 6,76 კმ; 2017 წელს განხორციელდა 3 კმ-ს რეაბილიტაცია. 2018 წლის დაფინანსებით იგეგმება დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

***

სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – სარეაბილიოტაციო გზის საერთო სიგრძე არის 3,96 კმ; 2017 წელს განხორციელდა 1,28 კმ-ს რეაბილიტაცია. 2018 წლის დაფინანსებით იგეგმება პროექტის გაგრძელება.

***

ბაღდათში სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – სარეაბილიოტაციო გზის საერთო სიგრძე არის 2 კმ; 2017 წელს განხორციელდა 0,54 კმ-ს რეაბილიტაცია. 2018 წლის დაფინანსებით იგეგმება დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

***

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები – სარეაბილიოტაციო გზის საერთო სიგრძე არის 4,05 კმ; 2017 წელს განხორციელდა 1,5 კმ-ს რეაბილიტაცია. 2018 წლის დაფინანსებით იგეგმება პროექტის გაგრძელება.

***

ბაღდათი-საკრაულას ადგ. მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია – 21 კმ-იანი გზის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება დაიწყო 2014 წელს, ამჟამაად რეაბილიტირებულია 14,1 კმ; 2018 წლის დაფინანსებით იგეგემება პროექტის გაგრძელება.

2018 წლის საპროექტო წინადადებები

***

სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;

***

სოფ. დიმში საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა;

***

ქ. ბაღდათში ა. წერეთლის ქ-ის №10-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია თვითმმართველობის ორგანოებისა და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის განსათავსებლად;

***

რევაზ ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია და ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა;

***

სოფ. ფერსათში ბუიძე-კვირიკაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია

***

სოფ. წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;

***

სოფ. წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.

სოფლის მეურნეობა - 2017

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აქტიურად მუშაობდა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, პროდუქციის გაზრდის, მოსავლიანობის ამაღლებისა და სიახლეების დანერგვისათვის.

წარმატებით შესრულდა 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში ქ. ბაღდათის, დიმის, ფერსათის, წითელხევის, როხის, დიდველასა და როკითის ტერიტორიულ ორგანოებში შეირჩა ორ-ორი მიწის ნაკვეთი, გაკეთდა ნიადაგის ანალიზი და ფერმერებს მიეწოდათ ინფორმაცია თუ როგორ გააუმჯობესონ ნიადაგის ნაყოფიერება, და შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. იგივე პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ ფერმერთათვის მოეწყო აგროტურები იმერეთის, გურიის, აჭარის და რაჭის მუნიციპალიტეტებში წარმატებული საწარმოებისა და კოოპერატივების დათვალიერების მიზნით.

სამსახურმა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში: სახალხო დღესასწაული „ბაღდათობა 2017“, „გვირილობა“ და „ზეკარობა“. ღონისძიებებზე სამსახურის ორგანიზებით საგამოფენო პავილიონში – „წარმოებულია ბაღდათში“ – ბაღდათელი მეწარმეები და ფერმერები წარმოადგენდნენ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას. ღონისძიებების ძირითად მიზანს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაცია და 2013-2017 წლებში სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების მიღწევების წარმოჩენა იყო.

სამსხურის ხელშეწყობით, სახელმწიფო პროგრამის – „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, სოფელ ვარციხეში 9 ჰა ფართობზე გაშენდა ქლიავის ბაღი. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები კაკლისა და კენკროვანი კულტურების გაშენებისათვის ნერგეეთისა და როხის ტერიტორიულ ორგანოებში.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მათ შორის 6 მეფუტკრეობის დარგში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მეფუტკრეობის კოოპერატივებმა „წყალობა“ და „მარიამის თაფლი“ ისარგებლეს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით. კოოპერატივებს სახელმწიფოსაგან 70%-იანი თანადაფინანსებით გადაეცათ ფუტკრის სკები.

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილის გადამამუშავებელი საწარმო შპს „აგროლეინი“ შეიქმნა 2016 წელს სახელმწიფოს ფინანასური დახმარების ხელშეწყობით. 2017 წლის ივნისში, ფრანგულმა კომპანიამ „BureauVeritas“ შპს „აგროლეინს“ მიანიჭა ISO 22000:2005 სერთიფიკატი, რაც ნიშნავს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემების და სტანდარტების დანერგვას. მოსალოდნელია, რომ სერტიფიცირების შედეგად შპს „აგროლეინი“ შეძლებს დაამყაროს ბიზნეს-კონტაქტები უფრო მეტ უცხოელ მყიდველთან.

ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა მევენახეობის დარგის განვითარებამ. 2016-2017 წლებში ვენახების საერთო ფართობი 90 ჰექტარით გაიზარდა. მუნიციპალიტეტში შეიქმნა კოოპერატივი „ვაზის სანერგე მეურნეობა“, რომელიც წელიწადში 150 ათას ძირ ნერგს აწარმოებს. სოფელ ვარციხეში არსებულ შპს ვარციხის მარანში გაშენდა 12 ჰექტარი ვენახი როგორც ადგილობრივი, ასევე ევროპული ჯიშებით.

რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სოფელ ვარციხეში, ფერსათსა და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ღვინის მარნებს, სადაც ხდება ყურძნის მიღება და გადამუშავება. ბოლო წლებში მომრავლდა ოჯახური მარნები, რომლებიც აწარმოებენ და სასაქონლო სახით ბოთლებში ასხამენ სხვადასხვა სახის ღვინოს.

მევენახეობის გარდა პოპულარული ხდება არატრადიციული კულტურები – ამერიკული ღურჯი მოცვი, უეკლო მაყვალი, მარწყვი და სხვადსხვა სახის სუბტროპიკული კულტურები.

ვარციხეში 4 ჰექტარზე გაშენდა ჩანდლერის ჯიშის კაკალი. საკმაოდ მძლავრად განვითარდა დახურული გრუნტის მებოსტნეობაც. ბარის სოფლებში აღრიცხულია 300-მდე სასათბურე მეურნეობა, სადაც სხვადსხვა სახის ბოსტნეული და მწვანილი მოჰყავთ. სოფელ დიმში ერთერთ სასათბურე მეურნეობაში არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინასებით დაინერგა სათბურის გათბობის თანამედროვე ტექნოლოგია – მიტლაიდერის მეთოდი, რაც უზრუნველყოფს მთელი ზამთრის პერიოდში მოსავლის მიღებას.

2017 წელს დასავლეთ საქართველოში და ბაღდათის მუნიციპალიტეტშიც დაფიქსირდა ახალი ინვაზიური მავნებელი აზიური ფაროსანა. მიუხედავად მთავრობის მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და ძალისხმევისა, აზიური ფაროსანას პოპულაცია და გავრცელების არე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მწვანე ნარგავებს. ამ მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა, თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში ტარდებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან, საჯარო სკოლის პედაგოგებსა და უფროსკლასელებთან, მსხვილ და საშუალო ფერმერებთან, რომელთაც საინფორმაციო ბუკლეტების გადაცემით და შესაბამისი თვალსაჩინოებების გამოყენებით ეცნობოდათ მავნებელთან ბრძოლის მექანიკური და ქიმიური მეთოდები.

2017 წელს, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი იყო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სისტემატური აღდგენითი სამუშაოები. განხორციელდა აფხანაურის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 კმ-მდე მაგისტრალურ არხს, მოეწყო მილხიდები და წყალსარეგულაციო კვანძები. გაიწმინდა წყალმიმყვანი და გამანაწილებელი არხები, ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტში წყლით უზრუნველყოფილია ფერსათისა და ვარციხის 250 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

კულტურა

ტრიო „იმერეთი“ – შთაბეჭდილებანი და ასოციაციები

წლებია, ტრიო „იმერეთი“ (ნოდარ ფულარიანი, მერაბ ნერგაძე, ავთანდილ გოგავა) ტკბილხმოვანებითა და შესაშური პროფესიონალიზმით სასიამოვნოდ აკვირვებს მსმენელსა და ქართული სიმღერის დამფასებელს. გამონაკლისი არც 2017 წელი იყო – 14 ოქტომბერს ზესტაფონმა ქართული ლირიული სიმღერების ფესტივალს „სულიკო 2017“-ს უმასპინძლა. ფესტივალი, რომელიც „ვარინკობის“ სახელითაა ცნობილი, ტრადიციულად ვარინკა წერეთლის მშობლიურ მხარეში, ცხრაწყაროში, ღია თეატრონზე გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობას იმერეთის რეგიონის მუსიკალური ჯგუფები მონაწილეობდნენ, მათ შორის ტრიო „იმერეთი“, რომლის გამოსვლამ ტრადიციულად მაყურებლისა და ჟიურის მოწონება და, შესაბამისად, საპატიო მეორე ადგილი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

ბაღდათის სახალხო თეატრი წელს ორი ახალი სპექტაკლით წარსდგა მაყურებლის წინაშე, ფესტივალზე – „თეატრალური იმერეთი 2017“ – ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „შთამომავლობა“ (რეჟისორი მელიტონ ჯაფარიძე) წარმოადგინა და ორ ნომინაციაში გაიმარჯვა. ევა ხუტუნაშვილის სახელობის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ქალბატონ ეთერ დევაძეს გადაეცა, ხოლო მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლად ავთანდილ ნაკაშიძე დასახელდა.

შემოდგომაზე კი სახალხო თეატრმა ახალგაზრდა რეჟისორის, ლევან ბიბილეიშვილის ახლებურად დადგმული სპექტაკლი, ტრაგედია „ანტიგონე“ აჩვენა მაყურებელს.

სპორტული სკოლა – 50

განა ნახევარი საუკუნის წინ არ თამაშობდნენ ფეხბურთს, კალათბურთს, ჭადრაკს ან კიდევ ბაღდათელ მოჭიდავეებს არ ერჩოდათ მკლავში ძალა? თამაშობდნენ, ჭიდაობდნენ და ბაღდათ-მაიაკოვსკისთვის სახელი ქვეყნის გარეთაც გაუთქვამთ. სწორედ ამ ხალხის მოწადინებით 1967 წელს დაარსდა სპორტული სკოლა, რომელმაც სპორტის სხვადასხვა სახეობები გააერთიანა და ამ ხნის განმავლობაში არაერთი ათლეტი აღუზარდა საქართველოს.

სპორტული სკოლა (დირექტორი ავთანდილ გურგენიძე, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული ჭიდაობაში) ტრადიციებს არ ღალატობს და დღესაც ჩვეული მონდომებითა და ჟინით აგრძელებს საქმიანობას.

50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ერთგვარი დათვალიერება და სპორტული სკოლის საქმიანობის წარმოჩენა გახლდათ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები და სპორტის მოყვარულები მთელი დღის განმავლობაში ინტერესით ადევნებდნენ თვალს სხვადასხვა სახეობებში გამართულ შეჯიბრებებს.

2017 წელს სპორტსკოლის აღსაზრდელებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში გამართულ არაერთ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებში მოსინჯეს ძალები და მშობლიურ რაიონს მედლებით დახუნძლულები დაუბრუნდნენ. ტრადიციულად წარმატებებით გვანებივრებენ მოჭიდავეები და მოჭადრაკეები. ჩატარდა მუნიციპალური ტურნირები „სასკოლო ოლიმპიადის“ ფარგლებში ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში, აღსანიშნავია, რომ ბადმინტონის რეგიონულ ტურნირს ქ. ბაღდათის მეორე საჯარო სკოლამ უმასპინძლა.

წლის განმავლობაში არ ცდებოდა სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზი – რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების (ლევან ებანოიძის სახელობის) მაღალი დონის ორგანიზებით და მონაწილეთა სიმრავლით ბაღდათური ტურნირები 2017 წელს მართლაც გამორჩეული იყო.

დავით ყიფიანი

ბატონებო ჩვენი ბაბა-ბებიები ხართ!

ქველმოქმედებას სამშვინველად დიდი სიკეთე და გულმოწყალება უდევს. გასცე უანგაროდ, შეეწიო დავრდომილს, ღარიბსა და ღატაკს, თავად განიჭებს დიდ სიამოვნებას. ღვთიურია ეს ბუნება ადამიანში და მას უსაზღვროდ გადამდები ძალა აქვს. ქველმოქმედებით ბევრჯერ გაუხარებიათ ბაღდათელებს შეჭირვებულები, მესამე სამი წელია, საახალწლო დღეებში, სიხარული შეგვაქვს გაჭირვებულთა ოჯახებში. წინა წლებში დავეხმარეთ მრავალშვილიან ოჯახებს, მათგან რამოდენიმე ბავშვი სხვადასხვა დაავადებით იყო ავად (გულის მანკი, სიმსივნე).

ჩვენი სამსახური ასეთ დღეებში საოცარი შემართებით იწყებს მობილიზებას, შარშან, დეკემბრის შუა რიცხვებში, ამ აქციის ფარგლებში მოეწყო საქველმოქმედო მარათონი და აუქციონი. მუნიციპლიტეტის ტერიტორიაზე არსებულმა სამსახურებმა შეგროვებული თანხები ბიბლიოთეკის შენობაში დადგმულ საქველმოქმედო ყულაბაში მოათავსეს. აღსანიშნავია ცალკეული ადამიანების თანადგომა და გულისხმიერება. 2016 წლის მიწურულს 10 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია დახმარება თბილი ტანსაცმელებით, სურსათსანოვაგითა და ფულადი საჩუქრების სახით.

დადგა დეკემბერი ... ჩვენი გუნდი კიდევ უფრო დიდი შემართებითა და წინა წლების საკმაო გამოცდილებით შეუდგა ამ მართლაც საოცრად კარგ საქმეს. წელს შეიცვალა საქველმოქმედო სეგმენტი, ახლა ორიენტირი დავრდომილ, მიუსაფარ, მოხუც ბებია-ბაბუებზე ავიღეთ. ეს ხომ ჩვენი ხვალინდელი დღეა, ჩვენც დავბერდებით.

დავიწყეთ მოხუცების შერჩევა, ჩვენდა სამწუხაროდ, მართლაც, რომ სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ, უმეტეს მათგანს არ ჰყავს ოჯახის წევრი, სრულიად მარტოს უწევს ცხოვრების მძიმე ჭაპანის გაწევა, არ გააჩნიათ საცხოვრებელი პირობები, ზოგს შეშა არა აქვს, ზოგს წამალი...

მომზადდა რამდენიმეწუთიანი ვიდეოკოლაჟი, დაიწერა მოწოდების პოსტი, გავრცელდა ფლაერები, ვეცადეთ, თითოეული ბაღდათელისათვის ინფორმაცია გამხდარიყო ხელმისაწვდომი. დახმარების მსურველები წინა წლების მსგავსად, შემოწირულობებით სტუმრობდნენ ბიბლიოთეკაში მოწყობილ საქველმოქმედო კუთხეს, რათა ერთად გავათბოთ, დავატკბოთ, გავახალისოთ ჩვენი მოხუცების საახალწლო განწყობა.

აღსანიშნავია,რომ ამ აქციას გამოეხმაურა „ჯეო ჰოსპიტალის“ ბაღდათის სამედიცინო ცენტრი, რომლის ექიმები ერთ-ერთ ხანდაზმულს უფასო სამედიცინო გამოკვლევებს ჩაუტარებენ. ასევე გამოგვეხმაურნენ ბაღდათელი ემიგრანტები და მათ უკვე პირველადი შეწირულობა დააფიქსირეს. სიკეთე გადამდებია.

აზა მაშანეიშვილი

განცხადება

2018 წლის 19 თებერვალს, 1 საათზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. № 9) გაიმართება წაბლარი 2 ჰესის მშენებლობისა და ოპერირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, მდინარე წაბლარისწყალზე 24 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. № 9;**
- **შპს „Georgian Green Power“-ის ოფისში – ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა 36, მე-5 სართული;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „Georgian Green Power“-ის ადმინისტრაცია



ლოდინის უღელს, ლოდინის უღელს
ამტანი ხარის სჭირდება ქედი,-
ჩემს ოდასახლში ვიჯექი წუხელ
და შენზე ლექსებს ვშლიდი და ვწერდი.

მე დღესაც ვხატავ, შენს ღიმილს ვხატავ,
ესაა დუმილს რაზა შევხსენი;
და ბუხრისპირთან ჩათვლემილ კატას
ჭრელი ბეწვიდან ფერს ვესესხები.

შორია გზები... შემომრჩა ფიქრი
ნუგეშად მარტო ამ გზების მოვლის
და ერთადერთი სიმდიდრე-ფიფქი,
კარზე მომდგარი დეკემბრის თოვლის.

ზაალ ეგანიძე

2018 წელი

იანვარი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

თებერვალი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28				

მარტი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

აპრილი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

მაისი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

ივნისი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

ივლისი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

აგვისტო

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

სექტემბერი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

ოქტომბერი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

ნოემბერი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

დეკემბერი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. საინფორმაციო, ინოვაციური ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის" გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე, აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში"